2
F550 № 7452

ჯამშოგლო დიდის ქოქუი, არ ზაიცვლების ოჩაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
24
დეკემბერი
№ 136 (10229)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო

გაზეთი გამოდის [illegible]

## შ ე ჩ ე რ დ ი თ!

უკვე მერამდენედ გავბდით მოწმენი ძმათა კვლის ტრაგიკული მისტერიისა, საუბედუროდ ვერ ავიცდინეთ ის, რისი საფრთხე არსებობდა. არ შედგა ქართველთა შორის დიდი თანხმობა, შეიარაღებული ოპოზიცია ძალის გამოყენებით ცდილობს კანონიერი ხელისუფლების დამხობას, ქართველი ხალხის უმრავლესობის ნების ფეხქვეშ გათელვას. მაგრამ ამბიციებისაგან, პირადი წყენისა და სიძულვილისაგან აღძრულ ქმედებას როდის მოუტანია ხიკეთე, გარდა უბედურებისა. ეს გზა განწირულია, ბატონებო! პოზიციათა გარკვევის, პრობლემათა გადაწყვეტის პოლიტიკური საშუალებების უარმყოფელთ კრახი არ აცდებათ.

თქვენს დაგრჩენიათ ერთადერთი გზა: შეწყვიტოთ ძმათა კვლა, დაყაროთ იარაღი. ნუ ესვრით ტყვიას სამშობლოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, წინ დროის, ისტორიის უსასტიკესი მსჯავრი გველოდება.

გვახსოვდეს ეს!

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურების შექმნის შესახებ

1. გაუქმდეს ზუგდიდის რაიონის პრეფექტურა და მის ბაზაზე შეიქმნას ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურები.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, კომიტეტებსა და დეპარტამენტებს შეიტანონ სათანადო ცვლილებები დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სტრუქტურებში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

თბილისი. 1991 წლის 19 დეკემბერი.

ზვიად გამსახურდია.

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### თ. ო. ყორყოლიანის ქ. ზუგდიდის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს თამაზ ომარის ძე ყორყოლიანი ქალაქ ზუგდიდის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 19 დეკემბერი.

## ჩააბარეთ ხმელი დაფნა, არ დარჩებით უკმაყოფილო

ზუგდიდის დაფნის კომბინატის (დირექტორი ხ. სოსელია), კოლექტივი მოწოდებულია მომხმარებელს მიაწოდოს მაღალი ხარისხის დაფასოებული ხმელი დაფნა. ადგილზე უშვებენ ორი ასორტიმენტის დაფნას.

კომბინატმა დღეისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მიიღო და დააფასოვა 892,4 ტონა ხმელი დაფნა. ცხრა თვეში დაფასოებულია 823,1 ტონა. მათ შორის წვრილი ასორტის 590,5 ტონა. მსხვილი ფოთოლი დახარისხებულია 232,6 ტონა, რეალიზებულია 2.465 ათასი მანეთის პროდუქცია. გამოშვებულია 802,5 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. მოგების გეგმამ 738 ათასი მანეთის ნაცვლად შეადგინა 797,5 ათასი მანეთი.

როგორც ცნობილია, სახელმწიფომ ერთი-ორად გაზარდა დაფნის შესასყიდი ფასი და დღეს კილოგრამ ნედლეულზე გაიცემა 14 მანეთი.

ამ დღისათვის დაფნის ფოთლის ჩაბარების ტემპი დაბალია, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ამჟამად თანხის გაცემა წარმოებს მალფუჭადი (ციტრუსოვანთა) ნედლეულის ჩამბარებლებზე. შევახსენებთ ჩამბარებლებს, რომ კომბინატისათვის დაფნის ფოთლის ჩაბარება ხელმისაწვდომია და ანაზღაურებაც გაიცემა უახლოეს პერიოდში. კომბინატში დასაქმებული მუშის ხელფასი დღეისათვის 600 მანეთს აღწევს. დასმულია საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე და იგი სავარაუდოდ გაიზრდება 1 იანვრიდან.

დ. აშუბა.

## თათბირი მწვავე, პრობლემურ საკითხებზე

11 დეკემბერს პრეფექტურის დარბაზში ჩატარდა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელები, სოფლის გამგებლები.

ქალაქში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციით გამოვიდა ზუგდიდის პრეფექტის მოადგილე ეკონომიკისა და ფინანსთა დარგში გობრონ ჯახია. მან ვრცლად ილაპარაკა იმ კრიზისულ მდგომარეობაზე, რომელიც არის ქალაქის მოსახლეობის პირველი მოხმარების საქონლით მომარაგების დარგში. კერძოდ, აღინიშნა ბენზინის დეფიციტზე. დღეის მდგომარეობით საწვავი საკმარისად არ გააჩნიათ ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა სამედიცინო დაწესებულებები, პურკომბინატი, სხვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ რთული სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავალ გზად მიჩნეულ იქნა ბათუმიდან კომერციული ბენზინის შემოტანა...

ასევე აღინიშნა, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა პურით მომარაგებით, რის გამოც პურის გაცემა იწარმოებს ადგილებზე სიის მიხედვით, ნორმირებული წესით, თითოეულ კაცზე 300-350 გრამის ოდენობით, ხოლო ახალი წლიდან პურს ჩვენთვის განკუთვნილი ფონდიდან მივიღებთ. საუბარი შეეხო აგრეთვე ელექტროენერგიის დეფიციტს, ხელფასების დაგვიანების და სხვა მტკივნეულ საკითხებს.

პრეფექტის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში პაატა ჩუხუა ძირითადად შეეხო მოსახლეობის გაზის ბალონებით უზრუნველყოფის საკითხს. მან თქვა, რომ საახალწლოდ ქუჩებისა და სოფლების მიხედვით მოხდება ბალონების განაწილება, თითო ოჯახზე—ერთი ბალონი. ამ საქმეს უხელმძღვანელებენ სოფლის გამგებლები.

პრეფექტურის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის განყოფილების გამგემ ხეიჩა ბენდელიანმა თათბირის მონაწილეებს გააცნო „მამულის აღორძინების" საზოგადოების წესდების პროექტი. ეს საზოგადოება მოემსახურება მივიწყებული, მამა-პაპეული კეთილი ტრადიციების აღორძინებას, მას ექნება თავისი ბანკი და იარსებებს საკუთარი შემოსავლებით.

### საქართველოს რესპუბლიკის. პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ი. თ. ქობალიას ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოვალეობ ს შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ინდიკო თედორეს ძე ქობალია ზუგდიდის რაიონის [illegible] მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი 1991 წლ ს 19 დეკემბერი.

## ნუ ჩავთვლით სხვის საქმედ

ვისაც თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ უცემს გული, პრაქტიკულადაც უნდა გაისარჯოს ამ მიმართულებით. უფრო სერიოზულად უნდა შევხედოთ ამ საკითხს. უნდა შეიქმნას დოვლათი, დიდი და პატარა უნდა მუშაობდეს, ყველა დასაქმებული უნდა იყოს. თუ ეს ასე არ მოხდა, სიძნელეები მთიდან დაძრული ზვავივით გაიზრდება და აშკარა კატასტროფის წინაშე დავდგებით.

ღრმად მაფიქრებს უწესრიგობისა და განუკითხაობის ატმოსფერო, რომელსაც ცალკეული კრიმინალური ელემენტები აღვივებენ. არ არსებობს დანაშაულობის სახე, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში ადგილი არ ჰქონდეს. არ ვიცი სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ ჩემი აზრით ამის ერთერთი მიზეზია ქალაქში დაუსაქმებელ პირთა მომრავლება. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ახალგაზრდა კონტინგენტის ბედი. მათი უმეტესობა შრომას თავს არიდებს. უქმად ხეტიალი კი უკანონო მოქმედების ხელშემწყობი ფაქტორია. ყოველივე ამას ემატება ცალკეული დესტრუქციული ძალების აშკარა თვითნებობა, რომელთა მოქმედებით იქმნება დაუსჯელობის საშიში ატმოსფერო. ეს საკითხები უყურადღებოდ, რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. გაჩნდება პრობლემური სიტუაცია? ამის მოსაგვარებლად არსებობს კამათის, დიალოგის მიღებული ფორმები და მას უნდა მივმართოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ ანარქიის ელემენტებს.

დროა, საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა თავისი სიტყვა თქვას ამდაგვარი მოვლენების მიმართ.

ა. ბაბუნია.

### მეცხოველეობა —91

## იმარაგებენ საკვებს

კახათის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის (გამგე დ. ნარმანია), მუშაკებმა იმისათვის, რომ უზნებლად გამოაზამთრონ 270 სული მსხვილფეხა საქონელი, მოიმარაგეს 1.000 ტონა სილოსი, 70 ტონა ჩალა, მიმდინარეობს თივის აღება.

ფერმის ახალი ნაგებობა მშენებარე პროცესშია.

მეღორეობის შემდგომი განვითარების მიზნით აღებულია კურსი, იყოლიონ მეტი ღორი. დღეისათვის ფერმაში (ბრიგადირი გ. მალიჩავა) უვლიან 271 ღორს.

## მატულობს ნარინჯოვანთა ტონები

ამ დღეებში მთელი მონდომებით შრომობენ კოლმეურნეობა „კოლხიდის" მეციტრუსეები. სრულმოსავლიანი პლანტაციებიდან, მიუხედავად იმისა, რომ წელს მოსავლიანობა ნაკლები იყო, მეიჯარეებმა სახელმწიფოს მიყიდეს 100 ტონა მანდარინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 დეკემბერს 5 წელი სრულდება არჩილ ფირცხალავას გარდაცვალებიდან

# გარდაუვალობა

არჩილ ფირცხალავას პოეტური ნიჭის თავისებური „პირველობების", მსოფლაღქმის, შეხედულებების ახსნა შესაძლებელია იმ გარდასული წლების ცხოვრებისეული პირობებით, რომლებმაც განსაზღვრეს მისი მწერლური ხვედრი. ზუგდიდელი პოეტის ბედი ტრაგიკული იყო იმდენად, რამდენადაც მერკანტილური სულით გაჟღენთილი რეალობა აღმოჩნდა მუდმივ კონფლიქტში პოეზიასთან. ეს ორი ცნება— კომერცია და პოეზია —არჩილ ფირცხალავასთან მიმართებით ვერ შეეთავსნენ ერთმანეთს. ღრმა პესიმიზმით შეპყრობილი პოეტი ცდილობდა იმქვეყნიურ ცხოვრებაში ეპოვა ნავსაყუდელი. მიუსაფრობამ, არასტაბილურმა პირადულმა ყოფამ, რომელიც თან სდევდა მთელი თავისი ხანმოკლე ფიზიკური არსებობის მანძილზე, შეარყია მისი ჯანმრთელობა. სწორედ აქ ჩნდება თავი გარკვეულწილად საზოგადოების უპასუხისმგებლობა პოეტის ნიჭისა და ბედის მიმართ. შემთხვევით კი არ კრთის მინორული ტონი პოეტის შემოქმედებაში.

არჩილ ფირცხალავას ლირიკა მნიშვნელოვნად მოიცავს მარტოობისა და სევდის მოტივს, რაც წლების სვლასთან ერთად პარალელურად ძლიერდებოდა. ყოველივე არსებულის სწრაფმავლობა (ეს ლაიტმოტივი სულ უფრო და უფრო გამოკვეთილად გასდევს მის ლექსებს) ის შეკრული წრეა, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს. სიტყვების მუსიკით გამოხატული სულის შფოთვას ავლენს პოეტის ლექსი „გარდუვალობა". პოეტის კონცეფციით, ამქვეყნად მიმდინარე თითქმის ყველა პროცესი, რომელიც თავიდანვეა განსაზღვრული, ემორჩილება აუცილებლობის ჰეგემონობას და ადგილს აღარ უტოვებს თავისუფლებას, შემოქმედებას. ადამიანები ემორჩილებიან ბრმა ბედისწერას, გარდაუვალობას, რომელსაც მიზანი არ გააჩნია. ინდივიდების ურთიერთქმედება ღმერთის მიერაა წინასწარგანზრახული. არჩილ ფირცხალავას აზრით, პიროვნული თავისუფლებისა და გარდაუვალობის გათიშვა რეალურ ინდივიდებს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას ართმევს. პოეტი არ გამორიცხავს იმასაც, რომ შემთხვევითობის უარყოფას, მიზეზობრიობისა და აუცილებლობის გაიგივებას აგრეთვე გარდაუვალობამდე მივყავართ. აქედან გამომდინარე, გარდაუვალობა ამოდის ისტორიისა და ადამიანის ცხოვრების ხდომილობათა ღვთის ნებით წინასწარგანზრახულობიდან. ლექსში— „გარდუვალობა" —ჩანს, რომ აუცილებლობა არის ის, რაც მოცემულ პირობებში გარდაუვალად უნდა მოხდეს. პოეტი გადაუჭრელი წინააღმდეგობების წინაშე დგება. ეს წინააღმდეგობები, რომლებიც არ შეიძლება არ წარმოშობილიყვნენ, წარმოიქმნა რაღაც მიზეზის გამო. მათი წარმოშობა კი დამოკიდებულია უამრავ განსხვავებულ პირობაზე. მიზეზს აუცილებლად მოსდევს ყოველთვის შედეგი. ლექსის მიხედვით, სამყაროში ყოველი ნაწილაკის კოორდინატთა და იმპულსთა მნიშვნელობა დროის მოცემულ მომენტში სავსებით ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მდგომარეობას ნებისმიერ წარსულ ან მომავალ მომენტში. ეს შეხედულება საბოლოოდ მისტიკურ სახეს იღებს და ერწყმის ღვთიური განგების რწმენას, აი, რას წერს პოეტი „გარდუვალობაში":

„საჩემო თოკი უკვე გასანთლეს—
ისევ ჩემივე რწმენის წყალობით
და ცაში ვეძებ ღამის გასათევს
ამ უცნაური გარდუვალობით.
სულში ღამეა და უკმარობა,
გული, ტკივილთან არც რომ
დაზავდე,
სანამ სათქმელსაც ჩავირაზავდე
ეგ უცნაური გარდუვალობა,
ყოვლის მხილველი გარდუვალობა".

არჩილ ფირცხალავას, ალბათ საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებიდან გამომდინარე, პიროვნული თავისუფლება ესმის არა როგორც ადამიანის სულის თვითგანსაზღვრა, როგორც ნების თავისუფლება, არამედ უარყოფს ნების თავისუფლებას, რადგან ადამიანის მოქმედებები და ქცევები ყველა შემთხვევაში განსაზღვრულია გარეგანი, მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით.

არჩილ ფირცხალავას მხატვრული ნიჭის ლირიკული ხასიათი სრული სახითაა აგრეთვე მოცემული სამშობლოს თემაზე შექმნილ ლექსებში „ლეღვები", თავისუფალი თემა: „ჩემი საყვარელი გმირი", „ქართლის ცხოვრების" წაკითხვის შემდეგ", „არმაზი", „ნუგეში", „ნინოწმინდაში". პოეტის პატრიოტული სულისკვეთება საზრდოობს იმის შეგრძნებით, რომ სამშობლოს სიყვარული და თავისუფლების სიყვარული თითქმის იდენტური ცნებებია.

ლექსი „ქართლის ცხოვრების" წაკითხვის შემდეგ სრულ წარმოდგენას იძლევა პოეტის პატრიოტული შეგნების შესახებ (თითქოს დღეს იყოს დაწერილი):

„ცრემლად კი არა სისხლად უნდა
ამოსკდე,
[illegible]
თან ხანჯალივით გამართულმა
უნდა იარო,
რომ
არ შეწიწნონ რა გიძიძგნის
გალეულ სხეულს.
ახლა, შენ უნდა იფარო
მარაბდას,
კრწანისს,
ახლა, შენ უნდა იფარო
გაყიდულ სირცხვილს.
გამაგრდე უნდა!
ეგ დიდგორი,
ეგ ბასიანი,—
როგორც დროშები
შენ, შენ უნდა ჩამოატარო
ჯირკვლა ჩუსავით [illegible]
ბიჭების თვალწინ,
ეს შენ, შენ უნდა მოიფშვნა მიწა,
მოიფშვნა მიწა სიმწრისაგან
დახამმულ მუჭში,
და შენი ერი ერთ ღონიერ
მუშტად შეკრული
დაიწყებს მტერს
დღენიადაგ წინ უტრიალო".

ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ არჩილ ფირცხალავას პოეტური ლექსიკა საკმაოდ მდიდარია სხარტი სიტყვებით. პოეტის ლირიკაში, შესაძლებლობის ფარგლებში, ენას ახალი სიმბოლური ფუნქცია ენიჭება. ზოგჯერ სიტყვები, —იმის მაგივრად რომ გადმოგვცეს ზუსტი აზრი, ან დაგვიხატოს შთამბეჭდავი სახეები,— გვემსახურებიან ლირიკული განწყობის წარმოსაქმნელად და გარდაიქცევიან სულის მღელვარების სიმბოლოდ, რაც უფრო ფართოა სიტყვებისაგან გამოწვეული ემოციური ასოციაციის წრე, მით უფრო დიდ ესთეტიკურ ღირებულებას წარმოადგენს იგი პოეტისათვის. სწორედ, აქედან იღებს სათავეს პოეტის სწრაფვა გაბედული მეტაფორული „ნეოლოგიზმების" მიმართ. რიტორული კითხვები თუ შეძახილები, სიტყვიერი გადახვევებისა და კონსტრუქციების პარალელები შესაბამისად შეესატყვისებიან სიმბოლური სიტყვების გამოყენებას. ამ საშუალებების „დემონსტრირებით" პოეტი თემის გაშლის ლოგიკურ წესს შეგნებულად არღვევს. ლექსების სიუჟეტიც სახეების ასოციატური ერთობლიობით ყალიბდება.

ნუგზარ გულორდავა.

* * *

ახლა ისე მენატრება „ლილო",
ახლა ისე მენატრება ბაღიში,
სიკვდილითაც რომ დამთრგუნოს ვინმე,
ალბათ ხუთულს ფიანდაზად გადვიშლი...
ვინ სიმაღლე შოთასი და ვინ მე,
მაგრამ [illegible] უთავბოლო ქადილში,
მოვიდეს და გამექცეოს ვინმე
საქართველოს სამერმისო წადილში...
გული მეფე-ლექსებსა თუ ეუმობა,
თორემ რაა მეცრემლეთა შვილობა,
მე პატარა საქართველოც მეყოფა,
სიცოცხლეც და მარადიულ ჭრილობად.
მე იმ ლადოს მადლიც დამიფარავდა,
რადგან მისი ღმერთკაცივით მჯერა,
ვერ ვიგუე აფხაზური გარადა,
ვერ გავწირე ოდიშური „ჩელა".
ახლა ისევ მენატრება „ლილო",
ახლა ისევ... ცხუმარი და ბაღიში,
მოვიდეს და გამექცეოს ვინმე
საქართველოს სამერმისო წადილში.

28 აგვისტო, 1985 წ.

* * *

ვხედავ: —ნელნელა მავიწყდება და მენანება
გ. მურმანმა თქვას —სიყვარული შემიძლიაო,
გაყიდა კაცმა —თვითონ სულიც გაყიდა კაცმა
მე რა გავყიდე: —ღამეების ფალას-ფულასი,
მე რა გავყიდე: —ორიოდე უდრო ლექსი,
ორი ბილეთი—ისიც ორჯერ გადაკვალული,
რა გავიცე—ბო, ბო, შიშნარევი წალიკი კოცნა,
ოჯახზე ფრთებით მიხორკილი მამრის ხიზნარი.
შვიდი სანთელი—„ვარსკვლავები ცას შელევია",
იმედი, რომ ჩვენ საიქიოს მაინც შევხვდებით
და გავაგრძელებთ ამ სიყვარულს როგორც ცოცხლები...
ვხედავ: ნელ-ნელა მავიწყდება და მენანება.

* * *

ხამი ლექსი დახია
პოეტმა მოთარეშემ,
ნეტავ ლექსებს რა ჰქვიათ
ტკივილების გარეშე,
ნეტავ გრძნობას რა ქვია,
გატაცებას რა ქვია,
როცა ლექსი კი არა
თვით ლაჟვარდიც აქვეა...
ბრძანებს გალაკტიონი, ბეჭდის
ბედის უამინდობით...
სამუდამოდ,
სამუდამოდ,
სამუდამოდ მშვიდობით!

გალაკტიონი —100

# ის მეგობრობდა დიდ პოეტს

ცნობილ კრიტიკოსსა და მეცნიერს, ლიტერატურის თეორიის, ისტორიის, ხელოვნებისა და პედაგოგიკის საკითხებზე ასეულობით გამოკვლევების, წერილების და ესეების ავტორს, აკადემიკოს გიორგი ჯიბ[illegible] მეგობრობა აკავშირებდა ჩვენი საუკუნის ფენომენალურ ლირიკოსთან გენიალურ გალაკტიონ ტაბიძესთან.

მკითხველს ვთავაზობთ გ. ჯიბლაძის ერთ მცირე პუბლიკაციას ნარკვევიდან: „გაცნობა და შეხვედრები გენიოსთან", რომელიც უდავოდ დააინტერესებს დიდი პოეტის შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

გალაკტიონის ლექსების ერთი წიგნი, რომელიც წავიკითხე და დიდად შემორჩა გონებას, იყო ქუთაისში 1914 წელს გამოცემული პირველი კრებული პოეტის მშვენიერი სურათით, ლამაზი სახის ახალგაზრდა, ბერძნულ-რომაულ ფრესკებთან თუ ქანდაკებებთან მსგავსებას რომ ამჟღავნებდა, ისე მიმზიდველი ჩანდა, როგორც ელადის ღვთაება. ეს სახე ჩემთვის დაუვიწყარი შეიქნა, როგორც მისივე ქადოსნური ლექსები. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ გენიალური „ხელოვნების", „სასაფლაოს", „ლურჯა ცხენების", „მერის", „მთაწმინდის მთვარის" ავტორს ოდესმე პირადად გავიცნობდი, მით უფრო, მისი უმცროსი მეგობარი გავხდებოდი.

მოყოლებული 1926 წლიდან, მე ძალიან გატაცებული ვიყავი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიით, ვკითხულობდი, ხარბად ვეწაფებოდი მის ლირიკულ შედევრებს, ვსწავლობდი ზეპირად, რადგან [illegible]ვეულებრივი სიადვილით ვი[illegible]რებდი. დრო გადიოდა, და როცა 1930 წელს თბილისში ჩამოვედი, როგორც პირველი კურსის სტუდენტი, გალაკტიონის იმდროინდელი ყველა ნაწარმოები ზედმიწევნით ვიცოდი.

ბედმა თუ განგებამ ისე მოიტანა, რომ იმავე 1930 წლის დეკემბერში გალაკტიონი პირადად გავიცანი რუს პოეტ ჩერნიავსკისთან ერთად. იმ საღამოს, პატარა ლხინის შემდეგ, პოეტი სახლშიც მივაცილე. მაშინაც არ შემეძლო წარმომედგინა, რომ ძალიან მალე გავხდებოდი ასე დიდი შემოქმედი კაცის, სახელგანთქმული მგოსნის ახლო მეგობარი. მით უფრო ვერ ვიფიქრებდი იმ მომავალზე, როცა მომიწევდა თავმჯდომარეობა იმ კომისიისა, რომელსაც დაევალა დიდი ქართველი პოეტის ცხედარი მთაწმინდის გრძნეული მიწისთვის მიებარებინა.

მანამდე გალაკტიონმა მოასწრო 1958 წელს ჩემს ბინაზე წაეკითხა მონოგრაფია, რომელიც დავწერე და გამოქვეყნებას ვაპირებდი. ეს ვრცელი მონოგრაფია შესულია ჩვენი „კრიტიკული ეტიუდების" მესამე ტომში. ხოლო, თუ როგორ გაეცნო დიდი პოეტი ხსენებულ ნაშრომს, კარგად აღწერა პროფესორმა იოსებ ბოცვაძემ თავის საინტერესო წერილში „შეხვედრები გალაკტიონთან" (1978 წლის „თბილისი" №257).

გალაკტიონი ქართული პოეზიის ყველაზე დიდი წარმომადგენელია, ვაჟა ფშაველას შემდეგ. როგორც გენიოსი, უბადლო მომღერალია ახალი საქართველოსი, რომლის კულტურას მან მხატვრული შთაგონების ტოლუპოვარი მარგალიტები შესძინა. რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ გალაკტიონი პოეტური მეტყველების ჯადოქრულ სიმაღლეზე ავიდა. არავის იმდენი არ გაუკეთებია უახლესი ქართული მწერლობისათვის, რომლის დიდი ფუძემდებელიც ის იყო, რამდენიც „ჯონ რიდის", „პაციფიზმის", „რევოლუციური საქართველოს" ეპოქის ავტორს გალაკტიონმა ქართულ პოეზიაში ისეთი განუმეორებელი ეპოქა შექმნა, რომელიც ყოველთვის უკვდავი იქნება მის გენიალურ ლექსებთან ერთად.

ამ გრანდიოზული ეპოქის ტრიუმფატორობა ნამდვილად იყო გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გენიის ისტორიული მისია.

### ღია წერილი

# საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, ტყისა და კვების მრეწველობის მინისტრს ბატონ ნოდარ ჭითანავას

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საკრებულო მოგახსენებთ, რომ სოფელ რუხში ნაწულუკუს უბანში მოქმედებს ჩაის მიკრო ფაბრიკა, რომელიც აშენებულია 1938 წელს. თავის დროზე ფაბრიკა აშენდა რუხის მშრომელთა სახსრებით, იმ ვარაუდით, რომ ფაბრიკას მოგება მოეტანა სოფლისთვის. რუხელებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ისინი მარტო ჩაის პლანტაციაში კი არ უნდა მუშაობდნენ, არამედ უნდა ჰქონდეთ ჩაის გადამამუშავებელი საკუთარი ფაბრიკაც. ჩაის ნედლეულის, ასევე მზა პროდუქციის ხატრონ-პატრონი თვითონ უნდა იყვნენ, და შეძლონ, სადაც ხელსაყრელია, იქ მიაწოდონ მზა პროდუქცია მომხმარებელს, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ თავის სოფელს. ეს აზრი იაზრეს რუხელებმა, მაგრამ გარკვეულმა ძალებმა უსამართლოდ, რუხელების კუთვნილება — ჩაის მიკრო ფაბრიკა წაართვეს მის კანონიერ პატრონს. რუხელები ფიქრობენ, რომ დროა აღსდგეს სამართლიანობა. უმართებლო მოქმედებით წართმეული სოფლის კუთვნილება, მიკრო ფაბრიკა უნდა ჩადგეს სოფლის მშრომელთა სამსახურში, როგორც ეს არის სხვა სოფლებში: კახათში, ინგირში და სხვაგან.

მოვიყვან მაგალითს ბრესიდან: გურიის სოფელ ჭურუყვეთის კოლმეურნეობის მოგებამ შეადგინა 800,0 ათასი მანეთი აქედან 748,0 ათასი მანეთი მიკრო ფაბრიკაზე მოდის. ადვილი დასათვლელია რამდენი ასეულ-ათასები თავისი წილხვედრი თანხა დაეკარგა წლების განმავლობაში რუხელ მშრომელებს. გასაგებია სოფლელთა გულისწყრომა და აღშფოთება.

რუხის მცხოვრებნი, რუხის საკრებულო გთხოვთ, ბოლო მოეღოს უკანონობას, რუხის ჩაის მიკრო ფაბრიკა უნდა გადავიდეს სოფლის საკრებულოს ან ჯერჯერობით კოლმეურნეობის ბალანსზე; მითუმეტეს ახლა, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ყოფილი კვების მრეწველობის სამინისტრო გაერთიანებულია, და ინტერესები საერთოა, ასეთი მართებული მოქმედება ორგანიზაციულ სირთულეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

ანალოგიური განცხადებით ჩვენ მივმართეთ ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურას, მაგრამ ეტყობა ამ საქმის გადაწყვეტა მათ კომპეტენციას აღემატება.

დაბეჯითებით გთხოვთ, დააკმაყოფილოთ, რუხელთა აზრით, მათი სამართლიანი თხოვნა: რუხის საკრებულოს ბალანსზე გადავიდეს რუხის ჩაის მიკრო-ფაბრიკა.

ბ. თოდუა.
სოფელ რუხის გამგებელი

# ღირსეულად დავაფასოთ მოწამეთა სახელები

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ სოფლებზე, ქალაქებზე, ქუჩებზე და სხვა გეოგრაფიულ ადგილებზე სახელების თვითნებურად დარქმევის უფლება არავის არა აქვს. გეოგრაფიულ ადგილებს უწინარესად სახელს „შეარქმევს“ აქ მომხდარი ისტორიული ან ბუნებრივი მოვლენები, ანდა სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ვითარებები.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გ. როგავასა და სხვათა წერილის („აღუდგეს ქუჩას სახელი“, „ოდიში“, 26 ნოემბერი, 1991 წ) მიხედვით საკითხის დაყენება, ყოფილ ქუკოვის ქუჩას ეწოდოს მოწამეთა ქუჩა, რადგან 1924 წელს ეროვნული საქმისათვის აჯანყებულნი ამ ადგილზე დახვრიტეს, აქ დაიღვარა მათი სისხლი, რომლის მომწვანო-შავი ლაქები დიდხანს აჩნდა ბილიკებს. აქვეა მათი საერთო აკლდამაც. ამიტომ მასზე უფრო მნიშვნელოვანი სახელწოდება ამ ადგილისათვის არ არსებობს. ამ ქუჩას და მიდამოსაც უნდა ეწოდოს მოწამეთა ქუჩა, ხოლო მის მიმდებარე ქუჩებს—მოწამეთა ქუჩის შესახვევები. ამ ქუჩისთვის სხვა სახელის მოხმობა ნამდვილად არ არის საჭირო, მით უმეტეს, რომ აქ მოწამეობრივად აღსრულებულთა შორის არის და მათთან ერთად განისვენებს უნიჭიერესი სახალხო ლირიკოსი, „ბორჯისა“ და „როკის“ ავტორ-მთქმელი დანიელ (დანე) ფიფია. აქ რომელიმე ქუჩის აუცილებლად უნდა ეწოდოს მისი სახელიც.

ა. სხმუხია,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

# თეატრი რეგიონის სახეა

ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მძიმე დღეებში მასობრივ სანახაობებს არც თუ ბევრი ეტანება. თეატრსაც მოაკლდა მაყურებელი. ალბათ ამანაც განაპირობა ზუგდიდის ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი თეატრის ურეჟისოროდ დარჩენა.

ამჟამად კი, სულ ორიოდე კვირაა თეატრს სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა რეჟისორები მიხეილ და ნინო რატიანები.

გთავაზობთ საუბარს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან და დირექტორთან მიხეილ რატიანთან.

—მოკლედ ხომ არ მოგვიყვებოდით თქვენს ბიოგრაფიაზე?

—დავიბადე სოხუმში, დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მეუღლეც ჩემი თანაკურსელია. ჩემი პედაგოგები იყვნენ დიმიტრი ალექსიძე, შემდეგ რობერტ სტურუა, და რობერტის საზღვარგარეთ წასვლის შემდეგ ჩვენს ჯგუფს ხელმძღვანელობდა ბატონი დათო კობახიძე. დამთავრების შემდეგ საკურსო სპექტაკლი დავდგით მე და ნინომ ცხინვალში—ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“. ორი წელი ვმუშაობდით სოხუმის თეატრში. მე დავდგი ჯაბა იოსელიანის „დედოფალი“, ხოლო ნინომ აზიმ ნესინის „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო!“

—ზუგდიდის თეატრში რა გეგმები მოგაქვთ?

—აქ ჩამოსვლა შემოგვთავაზეს კულტურის სამინისტროში, დავფიქრდით, ადგილზე სიტუაციას გავეცანით და გადავწყვიტეთ.

—არ გაშინებთ მაყურებლის სიმცირე? სოხუმში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა.

—შეიძლება ითქვას, რომ სოხუმის თეატრი ერთ-ერთი ყველაზე მუშა თეატრია. იქ რიგით სპექტაკლებზე 150-200 კაცზე ნაკლები არასოდეს არ მოდის, ხოლო პრემიერებზე კი ბილეთის შოვნაც ჭირს, მაგრამ რეალურ სიტუაციას არ შევუშინებივართ. ვფიქრობთ გამოვნახოთ გზები, რითაც მართლა დავაინტერესებთ მაყურებელს. რაც უფრო სიმართლეს ვიტყვით და სიმართლეს დავწერთ ზუგდიდის თეატრზე, უკეთესია, რადგან დამალული ჭირი უფრო მავნე აღმოჩნდება ხოლმე. ისე, გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ თეატრი მართლაც განადგურებული დაგვხვდა. ჩანს, არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ ამას წინ აღდგომოდა. თეატრს თანადგომა სჭირდება ყველასგან, განსაკუთრებით ქალაქის ხელმძღვანელობისაგან.

—და ასეთ სიტუაციაში შეძლებთ კი თეატრის ამოყვანას?

— თეატრის, საერთოდ ხელოვნების გარეშე წარმოუდგენელია არსებობა, იგი გვჭირდება აუცილებლად, და მით უმეტეს, ისეთი ტრადიციების მქონე თეატრი, როგორიც ზუგდიდშია, უნდა აღორძინდეს. ჩემი აზრით ზუგდიდის თეატრს განსაკუთრებული ეროვნულ-პოლიტიკური სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. თეატრი მუდამ იყო და იქნება ერის ერთ-ერთი მტკიცე დასაყრდენი. ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის მანძილზე იყო დრო, როცა ქართული ენა მხოლოდ თეატრში ისმოდა.

—სიტყვამ მოიტანა და, რა პოლიტიკურ დანიშნულებას განუსაზღვრავდით თეატრს?

—თეატრი უნდა იყოს ეროვნული მოძრაობის შუაგულში, ის უნდა იყოს ქალაქის და რეგიონის სახე, [illegible] ყოველთვის ჰქონდა პოლიტიკური დანიშნულება. შეგვიძლია მოვიყვანოთ ისტორიული სინამდვილე, ერეკლე მეფის ერთ-ერთ ბოლო ბრძოლაში საქართველოს დასაცავად მთლიანად დაიღუპა მაჩაბლის (სამეფო) თეატრი. თეატრი უნდა იყოს ავანგარდი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უშუალოდ ჩაერიოს პოლიტიკაში. ცუდია, როცა ხელოვნება ერევა პოლიტიკაში და პოლიტიკა ხელოვნებაში. მან თავისი ბრძოლის ველად უნდა გაიხადოს სცენა. თეატრის დანიშნულება არის ერის გამოღვიძება, ეროვნული სულისკვეთების განმტკიცება.

— რით დაიწყეთ მუშაობა?

—დავიწყეთ სამ პიესაზე მუშაობა, შ. დადიანის „გუშინდელნი“,—ამით გაიხსნება თეატრალური სეზონი, პრემიერა ნავარაუდევია მარტის თვეში. მოგეხსენებათ ყველა სპექტაკლს თავისებური რეჟისორული წაკითხვა აქვს. მე მინდა ამ წარმოდგენაში ჩავაქსოვო ის აზრი, რომ დრონი იცვლებიან, ადამიანები იცვლებიან, მაგრამ ხშირად საქმე არ კეთდება... ყველა ცდილობს ერის ბედის საკითხზე პასუხისმგებლობა სხვას გადააბაროს.

ამ სპექტაკლში ძირითადად მთელი დასია დაკავებული: პეტრე წულაია (გრიგოლში), ოტო ქურციკიძე (თავადი კოწია), მალხაზ ჯაფარიძე (სოფლის მამასახლისი) ზურაბ ლაშხია (ჯიბო კვანტრიშვილი), ბადრი ცომაია (გენერალი ბურდოსიანი), ციცო ზენგელაია (კნეინა ჩიტუნია), ჟანა ღავთაძე (ფუფუნდია), მზია ტოგონიძე (მამასახლისის მეუღლე), მერაბ კაკაჩია (აღიკო), მარინა ფარასელია (ფაცია), ნაზი ფარცვანია (აგრაფინა), ალექსანდრე როგავა (პაპუნა).

ამას მალე მოჰყვება მეორე სპექტაკლი ნინო რატიანის დადგმით. ესაა თურქი მწერლის აზიმ ნესინის „მომკალ, მომკალ, ჩემო კარგო“, რომლის თარგმანი ეკუთვნის გურამ ბათიაშვილს. მასში დაკავებული არიან ოტო ქურციკიძე, მზია ტოგონიძე, ლუიზა სულხანიშვილი, ზემფირა გუნია და ნაზი ფარცვანია. ეს არის გასართობი კომედია. ამ სპექტაკლთან დაკავშირებით ჩაფიქრებული გვაქვს მოვიწვიოთ პრემიერაზე თურქეთის კონსული და თვით ავტორიც. ვფიქრობ მოგვეცემა საშუალება, სპექტაკლი წავიღოთ თურქეთში. გვაქვს გარკვეული კომერციული გეგმებიც. თუ ზუგდიდის საწარმოები გამოიჩენენ დაინტერესებას, ვფიქრობთ ჩვენთვისაც და მათთვისაც საინტერესო გარიგება მოხდება, თებერვალში ჩამოვა დათო კობახიძე და დაიწყებს ახალ სპექტაკლზე მუშაობას. ეს იქნება ვალერიან კანდელაკის „დრო—24 საათი“, ანდა ლევან ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი—დადიანი“.

ეს არის ჩვენი „პროგრამამინიმუმი“, „პროგრამა-მაქსიმუმს“ რეგიონის უკეთ გაცნობის, მისი ინტერესების უკეთ გათვალისწინებით შევადგენთ.

—იქნებ უფრო კონკრეტულად გვიამბოთ თეატრის კომერციულ გეგმებზე.

—ვფიქრობთ, გვექნება საშუალება საზღვარგარეთ საგასტროლოდ გასვლის, სადაც შევძლებთ ჩვენს ქალაქში არსებულ საწარმოზე ხელშეკრულებათა დადებას, საწარმო-ორგანიზაციებს ზედმეტი მოგება არ აწყენთ, ხოლო ჩვენ აქედან რაღაც პროცენტს მივიღებთ, რასაც თეატრს მოვახმართ. გვინდა აღვადგინოთ ასევე კონტაქტები პარიზის თეატრ „ატელიესთან“, რომლის დამაარსებელია გასო ყუშიტაშვილი, ეს თეატრი დღესაც ერთ-ერთი წამყვანია საფრანგეთში. იგი ჩამოსული იყო მარჯანიშვილის თეატრში, სადაც პატივი მიაგეს „ატელიეს“ დამაარსებლის გასო ყუშიტაშვილის ხსოვნას, ბატონი გასო, როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე წელი მუშაობდა ზუგდიდშიც. 1993 წელს სრულდება ზუგდიდის თეატრის დაარსებიდან 125 წლისთავი. ამ თარიღს სათანადოდ შევხვდებით. ჩაფიქრებული გვაქვს ამ თარიღთან დაკავშირებით დავდგათ სპექტაკლი ქ. გამსახურდიას ნაწარმოების მიხედვით.

ესაუბრა ჟ. ტაბაღუა,

# ასეთი ტონი არ ეკადრებათ

ვინც ამ ბოლო დღეებში საქართველოს ტელევიზიით გადმოცემულ ინფორმაციებს მოუსმინა, შეუძლებელია აღშფოთების გრძნობა არ დაეუფლოს. ეროვნული ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ძალები არ ცხრებიან. მათ ყველაფერი უღონიათ იმისათვის, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში უნდობლობა და ეჭვი დაეთესათ, ბატონ პრეზიდენტთან ამასწინანდელი მათი შეხვედრა სამწუხაროდ დამამახსოვრდება მოუფიქრებელი, არაკორექტული საქციელით, თავშეუკავებლობით. მართალია, მათ შორის უდაოდ იყვნენ სამშობლოს ბედით ღრმად შეწუხებული ახალგაზრდებიც, მაგრამ გამოსვლების საერთო ტონი მაინც ზნეობისა და ეთიკის ელემენტარულ ნორმებს სცილდებოდა. დასანანი ისაა, რომ ისინი ჯერ კიდევ მოუმწიფებელნი არიან დიდი პოლიტიკისათვის, ნაკლებად ეტანებიან წიგნს, არ იწუხებენ თავს თვითგანათლების დონის ამაღლებისათვის. აქედან იღებს სათავეს ცალმხრივი მსჯელობა და არასწორი შეფასებები მიმდინარე მოვლენებისა.

და მაინც მჯერა: მათი უმრავლესობა თანდათან დაძლევს ამ ზერელობას და დილეტანტიზმს და აქტიურად ჩაებმება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ა. ალანია.

# კმაყოფილნი დავრჩით

ამ დღეებში ქ. ზუგდიდის № 10 საშუალო სკოლის ინიციატივით (დირექტორი ე. თოლორაია) მოეწყო ექსკურსია ქ. სოჭში. მოსწავლეებმა დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, გავეცანით და დავუმეგობრდით იქაურ თანატოლებს. წუთიერად გაიფანტა ჯანღი და გაუგებრობა. ბევრი რამ საერთო აღმოგვაჩნდა ახალი თაობის წარმომადგენლებს, ვისაც ხვალ და ზეგ უფრო ცივილიზებულ, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოგვიწევს ცხოვრება.

კმაყოფილებით დავბრუნდით შინ. განზრახული გვაქვს უახლოეს ხანებში მოვაწყოთ ექსკურსია დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონის მშობლიურ სოფელში.

ხათუნა ჯი[illegible],
№ 10 საშუალო სკოლის მოსწავლე.

# გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ნიცოცხლით სავსე, ენერგიული, სპეტაკი მოქალაქე, დიდებული მამა და მეგობარი ანტიფო ანჯაფარიძე ორი წლის წინ გამოაკლდა ჩვენს კოლექტივს.

ახლა, როცა უკვე აღარა ხარ ცოცხლებში, მთელი სიცხადით გვეუფლება მწველი, ადამიანური წუხილის მტანჯველი გრძნობა.

საკუთარი შრომითი ბიოგრაფიით, რომლის ამოსავალი ისევ შენი უზომო სიბეჯითე და ხალასი ბუნება იყო, კოლექტივს თავი დაამახსოვრე. თითქმის 40 წელი იმსახურე ჩვენს კოლექტივში და ამ ხნის მანძილზე სიკეთე და გულთბილობა გვახსოვს შენგან, რომ შენი დაკარგვით გამოწვეული წუხილის შეგრძნება დიდხანს გაგვყვება.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო.

დასანანია, რომ ადრე განერიდე სიცოცხლეს. შენი დაკარგვით დარჩენილ სიცარიელეს ვერ ამოავსებს ვერავითარი სანუგეშო სიტყვები. ჩვენი კოლექტივი შენს სახელს სანთლებად აინთებს.

**ზუგდიდის რაიონის სოც. უზრუნველყოფის კოლექტივი.**

# საფოსტო მომსახურებით კმაყოფილი ვართ

ბაბულია გვილია 12 წელზე მეტია, რაც კავშირგაბმულობის ზუგდიდის №6 განყოფილებას ხელმძღვანელობს, ამ სისტემაში კი მუშაობის 30 წელზე მეტი სტაჟი აქვს.

№6 საფოსტო განყოფილების ადგილსამყოფელი ფაიფურის ქარხანაშია, სადაც ქარხნის ადმინისტრაცია ყოველმხრივ ხელს უწყობს მის შეუფერხებელ მუშაობას, გამოყოფილი აქვს შესაფერისი ოთახები, სათავსოები, სხვა საჭირო ინვენტარმოწყობილობანი. ყველგან სისუფთავე და წესრიგია.

განყოფილება ემსახურება №12 ტრესტს, №133 მოძრავ-მექანიზირებულ კოლონას, სპეც-კომენდატურას, მანქანათმშენებელ ქარხანას, სკოლას, საბავშვო ბაღსა და თვით ფაიფურის ქარხანას, აგრეთვე ამ უბნის ქუჩების მცხოვრებლებს.

გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ამ უბანში შემავალი ყველა ადრესატი დროულად იღებს საფოსტო გზავნილობებს —პრესას, ამანათებსა თუ წერილებს, რაც განყოფილების მუშაკთა მოქნილი მუშაობის შედეგია.

ადრესატები კმაყოფილებას გამოთქვამენ №6 განყოფილების მიმართ. სასურველია, მათი მუშაობის განზოგადება, რათა კარგ მაგალითს სხვა განყოფილებებმაც მიბაძონ.

**ისაკი ჩაგინავა,**

№138 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის კადრების უფროსი ინსპექტორი.

# ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთათვის

1992 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყება და 1-ლ აგვისტომდე გაგრძელდება სახალხო მეურნეობის და ინდივიდუალური მფლობელობაში არსებული ავტომობილების, მოტოციკლების, მოპედების და მისაბმელების სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება.

ტრანსპორტის ინდივიდუალური მფლობელები ვალდებული არიან ყოველწლიურად სრულ წესრიგში მოიყვანონ მათი კუთვნილი ტრანსპორტი და დროულად წარმოადგინონ ტექნიკურ დათვალიერებაზე გამოძახების გარეშე, ხოლო ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებმა ადგილზე შექმნან მათზე რიცხული ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები არსებული წესების დაცვით და სახ. ავტოინსპექციის ქვეგანყოფილებასთან შეთანხმებული გრაფიკით უზრუნველყონ მისი ნარისხიანი ჩატარება. ტრანსპორტის მფლობელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ აკრძალულია ტექნიკურ დათვალიერებაზე ისეთი ტრანსპორტის წარდგენა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა და აღჭურვილობა არ შეესაბამება გზებზე მოძრაობის წესების მოთხოვნებს. ასევე აკრძალულია ტექნიკურ დათვალიერებაზე უნებართვოდ გადაკეთებული ავტომანქანების წარდგენა. ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან ასეთი მანქანები ტექნიკური დათვალიერების დაწყებამდე დაუბრუნონ პირვანდელ მდგომარეობას. ავტომანქანები ტექნიკურ დათვალიერებაზე უნდა იქნას წარმოდგენილი. გამნათებელ ფარებზე სახელმწიფო ნომრების აღნიშვნით და გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობის აღჭურვით, ცნობით სამედიცინო დაწესებულებიდან ჯანმრთელობის შესახებ. ავტომოტოტრანსპორტის მფლობელებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი სატრანსპორტო გადასახადი და დაწესებულ ვადაში არ წარმოადგენენ ავტომოტოტრანსპორტს ტექნიკურ დათვალიერებაზე დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

**ფ. კიფიანი,**

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო - რაიონული განყოფილების სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.


## საწარმოების, ორგანიზაციების, კოოპერატივების ხელმძღვანელების და კერძო პირების საყურადღებოდ!

ზუგდიდის „ინფორმატიკის“ ცენტრთან არსებული კოოპერატივი „ალგორითმი“ გთავაზობთ:

გასამრავლებელ მანქანა „რანკ-ქსეროქ“-ზე და ლაზერულ საბეჭდზე შრიფტების თქვენთვის სასურველ გარნიტურებსა და ზომებს: ორიგინალური დიზაინით ფირმის ემბლემის, ინდივიდუალური სავიზიტო ბარათებისა და ნებისმიერი ტიპის ბლანკების მომზადებას ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, საბუთების ზუსტი ასლის გადაღებას, რომელიც არ საჭიროებს ნოტარიუსის დამტკიცებას, მაღალი საიმედოობის, მარტივი მომხმარებლობის, უმაღლესი ხარისხისა და ხელმისაწვდომი ფასების გარანტიას.

მიმართეთ კოოპერატივ „ალგორითმს“, მომსახურებით თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №1. ტელეფონი 2—52—68.



„საქენერგოს“ ზუგდიდის ელქსელს ესაჭიროება ელექტრომონტიორები, ქვესადგურის მორიგე მონტიორები და ელექტროტექნიკოსები, საშუალო ხელფასის ანაზღაურება შეადგენს 200-300 მანეთამდე, ცნობისათვის მიაკითხეთ ზუგდიდის ელქსელის დირექციას, რუსთაველის ქუჩა №90, ტელეფონები 2—11—79, 2—24—14, 2—28—53.

**ზუგდიდის ელქსელის დირექცია.**


ბალმარანის არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები იუწყებიან სკოლის დირექტორის

**იონა მურზას ძე ქუცურუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: გივი. ქეთო. თამარი, მარგო. შვილიშვილები: ელდარი. ელისო, ელზა ქარჩავები, დიტო, გედევანი, კესო ქირიები, ტარიელი, ავთანდილი, მაია სვირავები, ედიკა, ლელა ციკუტანიები, ძმა ინალი. დები: ამანდა, ნანული. ცაკუ ბაკარანძეები. რძლები: ლიანა კანკია, იამზე ბელქანია, ლამარა ლემონჯავა, დოდო, თამრიკო ქირიები, მარინა, ნატო სვირავები, ნატო ციკუტანია, ნინა. ნათელა ქარჩავები, ნაზია. გული დიდიშვილები. სიძეები: გული სვირავა, ლაგორი ციკუტანია, ვალოდია ჰურღულია, გრიშა გუგუჩია, ოლეგი ბაბუნაშვილი, ომარი ფაფია, მაზლიშვილები: ომეხი, ვენერა ქარჩავები, მულიშვილები: დამიანე, ჯემალი, ჯურამი, ბორიკი, ანზორი დიდიშვილები, რეზო ყურუა, ძმისშვილები, დისშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, შვილთაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ლუშა ხუხუს ასულ ბაკარანძე-ქარჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27 დეკემბერს. დაკრძალვა 28 დეკემბერს 16 საათზე ოქტომბერში.

ცაიშის საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება

**ორდენ ანტონის ძე ჯიქიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე ნორა ჩუხუა. შვილები: თამაზი, ნონა, ძმა დანიელი. და ნათელა. რძლები: ცისანა ჯიქია. ნათელა ხორავა, ლუბა თაცაცია. სიძე ნოდარ ჩოკორაია. შვილიშვილები: გია. ზაზა ქუცურუები, დისშვილები. ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**იონა მურზას ძე ქუცურუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27, 28 დეკემბერს. დაკრძალვა 29 დეკემბერს ჭაქვინჯში (ბალმარანი).

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო - რაიონული განყოფილება იუწყება

**რაინდი დიმიტრის ძე ელიავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 დეკემბერს ნაბაკევში (გალის რაიონი).

შვილები: ეთერი, ჯუმბერი, გოგი. რძლები: მარო ჩხეტია, ლამარა სიჯინავა, ნინელი მანია, სიძე კუკური ხუბუა, შვილიშვილები: ლევანი, გიორგი ჩქოტუები, ოთარი, დემური, ნოდარი ხუბუები, მზახლები თამარა ანთელავა, კაკო და ციცი მანიები იუწყებიან დედის

**მარიამ მათეს ასულ ბესელია-ჩქოტუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25 დეკემბერს. დაკრძალვა 26 დეკემბერს 15 საათზე. გამოსვენება სოხუმი თამარ მეფის ქ. (ყოფილი ჰამბას ქუჩა) 263.

ციალა და მამია გახოკიძეები შვილებით ზაზა და მუხრანით იუწყებიან ბიძაშვილის

**მურმან გრიშას ძე ქობალიას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 28 დეკემბერს. ზუგდიდი, ბაგრატიონის 11-დან. 16 საათზე. დაკრძალვა სოფელ გრიგოლიშში.

დედა ლია. მამა გოჩა. ძმა ლადო. ბებიები: ქრავაშა წურწუმია. ციალა სიჯინავა. ბაბუები: ნიკიფო წურწუმია. ტულუ ჰითანავა. ბიძია ჯონი ჰითანავა. ბიცოლები ლუსია. სვეტა. ბიძაშვილები: სვეტლანა ჰითანავა. ნანო. ბესიკ წურწუმიები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლალი გოჩას ასულ წურწუმიას**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 დეკემბერს. დაკრძალვა 28 დეკემბერს სოფ. ორულუში.

დედა ლუნა, მეუღლე ცისანა, შვილები: ნანა. ზურიკო. ლევანი, რომეო, შვილიშვილები სალომე. ქრისტინე, ძმები: თამაზი. ზაური. დები: ლუსია, უნარი. სიძეები: ამირან პერტაია, გენო გოგია. რძლები: შორენა თოლორაია, გული ზარქუა, ნანი აშბა, ძმისშვილები: გოჩა, ლაშა, ლერი. დისშვილები: დოდო. ნანი. ბადრი. ხვიჩა პერტაიები, შორენა. ფიქრია, გელა გოგიები, სიდედრი ცებე. სიმამრი ვალიკო ქანთარია. მზახალი გულნარა. ცოლისძმა ვაჟა შულაია. ცოლისდები ლამარა. ნათელა. ეთერი. ზოია, ქვისლები: ტიტიკო გეგეჭკორი. სერგო ხასაია, თამაზი სოსელია. დემური როგავა, ბიძები: სევერი, კაკო ხუფენიები, ალიკო დარსანია, გენო ცაავა, დურუ ჯოჯუა. ხუტა ჰაფანძე. ბიცოლები: გოგოლა, მილია. სონიჩკა. მერი. ჯული. ვერა. მამიდები: ძვირია, უშული, ლამარა. დეიდები: ნათელა ლამარა. გული. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბორის გოგის ძე დარსანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27, 28 დეკემბერს. დაკრძალვა 29 დეკემბერს 4 საათზე. ქ. ზუგდიდი, დეკაბრისტების ქ. 26.

შვილი მიშა, რძლები: ნინა, ლეილა, შვილიშვილები: ეთერი. ტიტიკო კვარაცხელიები. სიძეები: ბონდო მამფორია, ოთარი ხასია. შვილთაშვილები: დოდო, ნატო კვარაცხელიები. ნინო. ნანა მამფორიები. ძმისშვილები: მიმოზა. გული. ძმისშვილთაშვილები: ლაირა, ბიკენტი, რძლები: ლუბა. ვალენტინა მირცხულავები, ოლია. ქიონია კვარაცხელიები, მაზლიშვილები და შვილთაშვილები: ვარო. ვასასი. ნიურა. ქორდიკო. ნაირა. გურამი. ინდიკო. ანტიფა, ზაური. ხუნტული. ტუტუ. ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ცაბუა (ქეთევან) ნიკოლოზის ასულ მირცხულავა-კვარაცხელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27 დეკემბერს. კიკვიძის ქ. 14-ში. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. გამარჯვების ქ. 74-დან 16 საათზე. დაკრძალვა 28 დეკემბერს. კორცხელის მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე.

დედა ცხუცხუ, ძმები: რევაზი, ნუგზარი აფაქიძეები, რძალი ნანა ფიფია, და მარინა თიბილაშვილი, ძმისშვილები ზაზა. მამუკა, ნინო. მაიკო. ლაშა. მამიდა ფორო აფაქიძე, დეიდები ტატიანა, ნათელა, კაკული კილასონიები, მამიდაშვილები: რამინი, სიმონი. ვასო. ინეზა. ვერიკო. დეიდაშვილები: ეთერი. ზაური. მაყვალა, ლიანა, კახა, ნინო. ნანი, ბიძები: ლულუნი კვარაცხელია, ალიოშა კიკალეიშვილი, ლეო ესართია, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ემზარ შალიკოს ძე აფაქიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 24 დეკემბერს 5 საათზე, ლენინგრადის 31.

ფახლოესი მეზობლები იუწყებიან

**იონა მურზას ძე ქუცურუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მარინა ტაბალუა, შვილი იკა, დედა ეთერი, მამა სერიოჟა, დები: ნანა, ჯულიეტა, სიძეები: ელგუჯა ფარცვანია, ანზორ კიკავა შვილებით იუწყებიან

**ფრიდონი სერიოჟას ძე შეროზიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 დეკემბერს. დაკრძალვა 28 დეკემბერს სოფ. ორსანტიაში.

მეუღლე ციალა, შვილები მაგული, ლალი. დები: ლუბა. ლენა. ნუცა. ფუფული. შვილიშვილები: ქრისტინე, თეა ჭკადუები, სიძეები ბადრი ჭკადუა. ვანია ჰანტურია, კოლია ბერაია, ენვერ წურწუმია, ზაურ რაფავა, ბორის ბაგანჯია, ცოლისდები: ძაბული, შურა, ლამარა. მზია. ფაცია ყოლბაიები, დისშვილები გივი თიკანაძე. დემური. ნანი. ნონა ჰანტურიები, რომანი. ჯულიეტა. ნინო ბერაიები. ქვისლები: ვაჟა ჭკადუა. ილო შუკვანი, ბონდო ჯეჯეია. მზახლები: მოკონა, ინდიკო ჭკადუები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**აკაკი (კაკო) ანდროს ძე იზორიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 დეკემბერს. დაკრძალვა 26 დეკემბერს, სოფ. ინგირი, გამოსვენება ბარათაშვილის ქ. 36.

მეუღლე ლუიზა, შვილები: ინგა. ზვიადი. დათო. დები: მაისა, იზო. ძმა რევაზი. შვილიშვილი მარიამი. რძლები: მარინა ჯიქია. აზა ქარდავა, ძმისშვილი ბაჩუკა ფარცვანია, დისშვილები ალიკა სახურია, ქრისტინა ქელეზნოვა, სიძეები: გურამი სახურია, საშა ქელეზნოვი, სიდედრი ქსენია გვილავა. ბიცოლა ლილი ლომაია, დეიდები ნინა. საშა. ნადია. ბიძები: კოლია. ბიქტორი კიტატიანები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნუგზარ სილიბისტროს ძე ფარცვანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25 დეკემბერს. დაკრძალვა 26 დეკემბერს. გამოსვენება 3 საათზე ჰითაწყარიდან.

**რედაქტორის მოადგილე ზ. ცხონდია.**


ი ნ დ ე ქ ს ი 68807 პასუხისმგებელი რედაქციის მისამართი ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. 58. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რაიონ... 2-33-69, 2 47-08.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დე... ზუგდიდის სტამბა. მე... ქ. №58, 2-28 07, ტირაჟი 6000 შეკ. №5284